

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის შ.გოგიბერიძის
ანგარიშის მოსმენის სხდომის
ოქმი

2019წელი, 29 იანვარი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: გ.ღურჯუმელიძე-საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, საკრებულოს წევრის ამომრჩევლები, კოლეგები, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ტ.აროშიძე, საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, ლ. მგელაძე, გ.კილაძე.

საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები.

ანგარიშის მოსმენის დაწყებამდე სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა დამსწრეთ, ამომრჩევლებს -აღნიშნა, რომ მიმდინარეობს საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუშაობის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო ეტაპი-საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება, განაცხადა, რომ შ.გოგიბერიძე არის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთელ მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესებისათვის“ თავმჯდომარე, პროფესიონალი და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე წევრი, იგი აქტიურად მონაწილეობს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციისა და კომისიების მუშაობაში, თითქმის ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან, ზრუნავს მათი პრობლემების მოგვარებაზე.

საკრებულოს წევრმა შ.გოგიბერიძემ საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგინა მის მიერ საანგარიშო პერიოდში როგორც საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, ფრაქციასა და კომისიებში, ამომრჩევლებთან, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებთან ერთობლივად გაწეული მუშაობის ანგარიში. საინტერესო იყო მისი აზრი საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის მისაღებად მუშაობის განახლების, თვითმმართველობის კოდექსის დახვეწისა და მუნიციპალიტეტის დამოკიდებლობის დონის გაზრდისა და შემდგომი განვითარების თაობაზე.

ისაუბრა საანგარიშო პერიოდში მის მიერ ამომრჩევლების მიერ დაყენებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გაწეულ საქმიანობაზე.

ამომრჩევლებმაც და კოლეგებმაც მაღალი შეფასება მისცეს წარმოდგენილ ანგარიშს. აღნიშნეს, რომ შ.გოგიბერიძე არის საკრებულოს ერუდირებული, მცოდნე, აქტიური წევრი, მაღალი პასუხისმგებლობით და პროფესიონალურად უდგება ყოველ პრობლემას, კოლეგიურად, ურთიერთ თანამშრომლობით აგვარებს პრობლემატურ საკითხებს, წარმატებები უსურვეს მომავალ საქმიანობაში. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში იყო უაღრესად საინტერესო და შინაარსიანი, შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია შეფასდეს დამაკმაყოფილებლად, მისი აზრი გაიზიარეს საკრებულოს თავმჯდომარემ დ.დარჩიამ და კოლეგებმა ლ.მგელაძემ, ტ.აროშიძემ, მ ჩხიკვიშვილმა , ნ.ორაგველიძემ და სხვებმა.

გამოთქმულ შეფასებებს დაეთანხმა სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია და აღნიშნა, რომ სასიამოვნოა, როცა საკრებულოს შემადგენლობა გაძლიერდა ისეთი განათლებული და ერუდირებული წევრით, როგორც შ.გოგიბერიძეა, ანგარიში სრულად პასუხობს რეგლამენტის მოთხოვნებს, უსურვა წარმატებები მომავალ მუშაობაში.

ამომრჩევლებისა და დამსწრეთა საერთო აზრით, სხდომის თავმჯდომარის დ.დარჩიას წინადადებით, საკრებულოს წევრის ანგარიში შეფასდა დამაკმაყოფილებლად. (დანართი-ანგარიში-თან ერთვის 2 -ფურცლად)

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო